



Research

საქართველო
მაკრო მიმოხილვა

გამოცემა 5

ნოემბერი 2023



ძირითადი მიგნებები

ეკონომიკის ზრდა

2023 წლის პირველი 9 თვის შედეგები
ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები

ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი

BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატის ინდექსი
Ifi ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატის ინდექსი

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ინფლაცია
საერთაშორისო რეზერვები & მონეტარული პოლიტიკა

შრომის ბაზარი

დასაქმება
ხელფასები
ვაკანსიები
ბევერიჯის მრუდი

საგარეო სექტორი

ვაჭრობა
ექსპორტი
იმპორტი
ტურიზმი
მიგრაცია
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ფულადი გზავნილები

გლობალური ეკონომიკური ტენდენციები

შენელება



ძირითადი მიგნებები

- **ეკონომიკის ზრდა შენედა.** საქართველოს ეკონომიკა 2023 წელს აგრძელებს სვლას აღმავალი ტრაექტორიით, თუმცა წინა ორ წელთან შედარებით უფრო ტემპით.

შემდეგი ფაქტორები განაპირობებს ზრდის შენელებას:

- რუსეთთან დაკავშირებული ზოგიერთი ეფექტი მცირდება. რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება 2023 წლის აპრილში დაიწყო, ხოლო 2023 წლის პირველ 9 თვეში რუსეთთან ვაჭრობის ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა.
- 2023 წლის პირველ ნახევარში ზოგიერთ სექტორში სუსტი აქტივობა დაფიქსირდა. 2022 წლის პირველ 6 თვესთან შედარებით, რამდენიმე სექტორი გამოირჩეოდა სუსტი დინამიკით, ხოლო ზოგიერთმა სექტორმა ზრდის უფრო ნელი ტემპი აჩვენა.
- საქართველოს წამყვან საექსპორტო პროდუქტებზე მოთხოვნა შემცირდა. გლობალური მოთხოვნა სპილენძის მადნებსა და ფეროშენადნობებზე შემცირდა, რაც უარყოფითად აისახება ექსპორტის ზრდაზე.

- შემდეგი ფაქტორები წარმოადგენს დადებით ტენდენციებს:

- ინფლაციის მაჩვენებელი მცირდება. 2023 წლის პირველ 9 თვეში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც მთლიანი, ასევე საბაზო ინფლაცია.
- ტურიზმის სექტორის დინამიკა გაუმჯობესდა. 2023 წლის პირველ 9 თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ტურისტების რაოდენობა, ასევე საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი.
- მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2023 წლის პირველ 6 თვეში, გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა.

- რეკორდულად მაღალი ფულადი გზავნილები. 2023 წლის პირველ 6 თვეში, გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეკორდულად მაღალი ფულადი გზავნილები შემოვიდა.

- პოზიტიური ბიზნეს და ეკონომიკური კლიმატი. 2023 წელს როგორც ბიზნეს, ასევე ეკონომიკური კლიმატი იყო პოზიტიური. ამასთანავე, მოლოდინები პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა.

- შემდეგი ფაქტორები წარმოადგენს გამოწვევებს:

- შრომის ბაზრის გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე მცირდება, მუშახელის დეფიციტი და სპეციალისტების ნაკლებობა კვლავ რჩება საქართველოში ბიზნესისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორად.

- ემიგრაცია გრძელდება. უახლესი მონაცემების მიხედვით, ემიგრაციის მაჩვენებელი რეკორდულად მაღალია. ამავდროულად, 15+ ასაკის მოსახლეობა 3 მილიონზე ქვემოთ რჩება.



- გაჩნდა კითხვის ნიშნები ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა გააჩინა კითხვები სებ-ის დამოუკიდებლობასა და ფინანსური სტაბილურობის მომავალთან დაკავშირებით*.

- **პერსპექტივა 2024 წლისთვის:** მაღალი პესიმიზმი და გაურკვევლობა. 2024 წელს საქართველოს და გლობალურ ეკონომიკაში პესიმიზმი და გაურკვევლობა იზრდება. ეკონომიკა უბრუნდება თავის ტრადიციულ, ნელი ზრდის ტემპს და უახლოვდება გლობალურ ეკონომიკურ პერსპექტივას.

* საერთაშორისო სავალუტო ფონდი სებ-ის გადანვეტილებამე სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით.



ეკონომიკის ზრდა: 2023 წლის პირველი 9 თვის შედეგები



• საქართველოს ეკონომიკის ზრდა **მნიშვნელოვნად შენედა** 2023 წლის პირველ 9 თვეში, რაც განაპირობებს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის დასასრულს. თუმცა, შენელების მიუხედავად, ეკონომიკა კვლავ მნიშვნელოვნად იზრდება - საშუალო ზრდამ 2023 წლის პირველ 9 თვეში 6.8% შეადგინა.

• **ზრდის ტემპი** გაცილებით მაღალი იყო 2023 წლის საწყის თვეებში და **თანდათან შემცირდა** წლის პირველი 9 თვის განმავლობაში. წლიური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა იანვარში (8.4%), ხოლო ყველაზე დაბალი - ივლისში (5.5%).



ეკონომიკის ზრდა: 2023 წლის პირველი ნახევრის შედეგები

შერჩეული სექტორები	ნომინალური მშპ 6 თვე, 2023*	რეალური მშპ-ს ზრდა	
		6 თვე 2023* / 6 თვე 2022*	6 თვე 2023* / 6 თვე 2019
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	388.2	37.5%	8.5%
ინფორმაცია და კომუნიკაცია (ICT)	1606.5	31.3%	127.2%
სხვა მომსახურების საქმიანობები	315.5	19.2%	55.5%
მშენებლობა	2234.3	19.0%	2.3%
განთავსება და საკვების მიწოდების საქმიანობები	1075.4	11.8%	-1.0%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1401.6	9.6%	67.5%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3506.5	1.2%	5.3%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1270.9	-6.3%	26.5%

• 2023 წლის პირველ ნახევარში არაერთ სექტორში აღინიშნა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა. **ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში** 2023 წლის პირველ 6 თვეში მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა (+31.3%). შესაბამისად, ზედიზედ მეორე წელია საქართველოში ICT სექტორი მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევა, რაც თანხვედრაშია ქვეყანაში ამ სექტორის ბუმთან.


• 2023 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მაღალი წლიური ზრდა **ადმინისტრაციულ და დამხმარე მომსახურების საქმიანობებში** დაფიქსირდა (+37.5%), რაც ხაზს უსვამს ტურიზმის სექტორის აღდგენას, ტურიზმთან დაკავშირებული სხვა სექტორების ზრდასთან ერთად.

* წინასწარი მონაცემები.



ეკონომიკის ზრდა: ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები

2023 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზი



• საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განაახლა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზი, რაც მოიცავს შემდეგ ცვლილებებს: მშპ-ს რეალური ზრდის ტემპის ზრდას, შემცირებულ ინფლაციასა და შემცირებულ იმპორტის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაზარდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 6.5%-მდე (+0.9პპ), ხოლო საშუალო ინფლაციის პროგნოზი 2.8%-დან 2.6%-მდე შემ-


ცირდა, ასევე იმპორტის ზრდის პროგნოზი შემცირდა (-3.2 პპ), რამაც გამოიწვია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება (-1.9 პპ).

• აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ან მთავრობის ვალის შეფასებებში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.



ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი: BAG ინდექსი

საქართველოს ბიზნეს კლიმატის ინდექსი, IV კვ. 2019=100*



• პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, გამოკითხული ქართული კომპანიები ბიზნეს კლიმატს უფრო პოზიტიურად აფასებენ. 2023 წლის მესამე კვარტალში, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით (IV კვ. 2019), BAG ბიზნეს კლიმატის ინდექსი (IV კვ. 2019=100) გაიზარდა 8.3 პუნქტით. ასევე, ამ პერიოდში გაუმჯობესდა ბიზნესის არსებული მდგომარეობის შეფასება (+17.6) და ბიზნესის მოლოდინები (+0.4) პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.


• პანდემიის განმავლობაში და პოსტ-პანდემიური პერიოდის დასაწყისში მიმდინარე მდგომარეობისა და მოლოდინის შეფასებები მნიშვნელოვნად გაუარესდა. თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მოლოდინის მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების შემდეგ პოზიტიურ ცვლილებაზე მიუთითებს.

* წარმოდგენილი ინდექსი, რომელიც გამოთვლილია ბიზნეს კლიმატის მიხედვით, IV კვ. 2019-ს განსაზღვრავს, როგორც საწყის პერიოდს (100-ის მნიშვნელობით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 100-ზე მეტი მნიშვნელობები გრაფიკზე მიუთითებს იმაზე, რომ არსებული კლიმატი/მიმდინარე მდგომარეობა/მოლოდინი უფრო მაღალია, ვიდრე იყო IV კვ. 2019-ში, და არ მიუთითებს იმაზე, რომ თავად მაჩვენებელი პოზიტიურია. შესაბამისად, 100-ზე დაბალი მნიშვნელობები აღნიშნავს საწყის პერიოდზე ნაკლებ შეფასებებს. ეს ინდექსი გამოიყენება როგორც სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რათა შეფასდეს ცვლილებები ბიზნეს კლიმატში გარკვეულ დროის პერიოდში. კლიმატის რეალური ღირებულებებისთვის იხილეთ BAG ინდექსი.



ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი: IFO ინდექსი

საქართველოს ეკონომიკური კლიმატის ინდექსი, IV კვ. 2019=100*



- პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, ქართველი ეკონომისტები ეკონომიკურ კლიმატს უფრო პოზიტიურად აფასებენ. 2023 წლის III კვარტალში, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით (IV კვ. 2019), საქართველოს ეკონომიკური კლიმატის ინდექსი (IV კვ. 2019=100) 25.1 პუნქტით გაიზარდა. ასევე, ამ პერიოდში გაუმჯობესდა მიმდინარე მდგომარეობის შეფასება (+18.7) და მოლოდინები (+34.8) პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.
- პანდემიის პერიოდის დასაწყისში, ეკონომისტების შეფასე-


ბები მიმდინარე მდგომარეობასა და მოლოდინების შესახებ გაურკვეველი, არასტაბილური და, ძირითადად, პანდემიამდელ დონეზე დაბალი იყო. 2021 წელს, ეკონომიკის ხელახალი გახსნის შემდეგ, პოზიტიური ცვლილებები რუსეთ-უკრაინის ომმა უგულვებელყო. თუმცა, ომის შედეგები უფრო დადებითი აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომისტები თავდაპირველად ელოდნენ, შესაბამისად მიმდინარე მდგომარეობისა და მოლოდინების მაჩვენებლები გაუმჯობესდა.

* წარმოდგენილი ინდექსი, რომელიც გამოთვლილია ეკონომიკური კლიმატის მიხედვით, IV კვ. 2019-ს განსაზღვრავს, როგორც საწყის პერიოდს (100-ის მნიშვნელობით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 100-ზე მეტი მნიშვნელობები გრაფიკზე მიუთითებს იმაზე, რომ არსებული კლიმატი/მიმდინარე მდგომარეობა/მოლოდინი უფრო მაღალია, ვიდრე იყო IV კვ. 2019-ში, და არ მიუთითებს იმაზე, რომ თავად მაჩვენებელი პოზიტიურია. შესაბამისად, 100-ზე დაბალი მნიშვნელობები აღნიშნავს საწყის პერიოდზე ნაკლებ შეფასებებს. ეს ინდექსი გამოიყენება როგორც სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რათა შეფასდეს ცვლილებები ეკონომიკურ კლიმატში გარკვეულ დროის პერიოდში. კლიმატის რეალური ღირებულებებისთვის იხილეთ საქართველოს ეკონომიკური კლიმატი.



ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია საშუალო ყოველთვიურ წ/წ ინფლაციაში




• 2023 წელს ინფლაცია შემცირების ტენდენციით გამოირჩევა. 2023 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა (9.4 პროცენტული პუნქტიდან (პპ) 0.7 პპ-მდე).

• 2023 წლის 9 თვეში შემცირებული ინფლაციის ძირითადი კონტრიბუტორები არიან: ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიაში, ასევე დეფლაცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და ჯანმრთელობის დაცვის სექტორებში.

* გრაფიკზე აღნიშნული არაა მნიშვნელობები 0.5-ზე ნაკლები მოდულით.



სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია საშუალო ყოველთვიურ წ/წ ინფლაციაში მოცემულ წელს (9 თვე)




• ინფლაცია მიზნობრივ 3%-იანი მაჩვენებლის გარშემო დასტაბილურდება. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია მოკლევადიან პერიოდში მის მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე დაბალი იქნება, შემდგომ მას, საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, დროებით გადააჭარბებს და საშუალოვადიან პერიოდში მის გარშემო დასტაბილურდება.

• 2023 წლის 9 თვეში საბაზო ინფლაცია მიჰყვებოდა ძირითადი ინფლაციის წლიურად კლების ტენდენციას. 2023 წლის 9 თვეში საშუალო საბაზო ინფლაცია 4.5% იყო, 1.5 პპ-ით ნაკლებია 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც ფასების პოტენციურად უფრო სტაბილურ გარემოზე მიუთითებს.


* გრაფიკზე აღნიშნული არაა მნიშვნელობები 0.5-ზე ნაკლები მოდულით.



ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




- საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა გააჩინა კითხვები სებ-ის დამოუკიდებლობასა და **ფინანსური სტაბილურობის** მომავალთან დაკავშირებით. ხოლო სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, სავალუტო ბაზარზე საჭირო გახდა სებ-ის ინტერვენცია.
- 2023 წლის აგვისტოში **ოფიციალურმა საერთაშორისო რეზერვებმა** ყველა დროის მაქსიმუმს, \$5.4 მილიარდს მიაღწია. თუმცა, ეროვნული ბანკის აქტივობიდან გამომდინარე,

- გაცვლითი კურსის მერყეობის სტაბილიზაციისთვის, სებ-მა ლარი შეისყიდა. შესაბამისად, ოფიციალურმა საერთაშორისო რეზერვებმა \$164 მილიონით დაიკლო და 2023 წლის სექტემბრისთვის \$5.3 მილიარდამდე შემცირდა.
- 2023 წლის ოქტომბერში სებ-მა **მონეტარული პოლიტიკის** განაკვეთი შეინარჩუნა 10.0%-ზე.



შრომის ბაზრის მაჩვენებლები




• შრომის ბაზრის მაჩვენებლები ნელი ტემპით უმჯობესდება. 2023 წლის II კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, **სამუშაო ძალა** 2.8%-ით გაიზარდა, ხოლო **სამუშაო ძალის გარეთ მოსახლეობა** 3.7%-ით შემცირდა.

• საქართველოში 15 წელზე უფროსი ასაკის მთლიანი მოსახლეობა 3 მილიონზე ქვემოთ რჩება (15+ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა ამ ნიშნულს პირველად 2022 წელს ჩამოსცდა), რაც კითხვის ნიშნებს ბადებს მომავალში სამუშაო ძალის სტაბილურობის შესახებ.



ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით



- საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 6.5%-ით გაიზარდა და 689 ათას ადამიანს გადააჭარბა.
- საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა 2023 წლის პირველ ნახევარში ვაჭრობის სექტორში იყო დასაქმებული, რაც 180 ათასზე მეტ ადამიანს შეადგენდა.

- საქართველოში ICT სექტორის ბუმის პარალელურად, ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა. 2023 წლის პირველ ნახევარში, ICT ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის წლიურმა ზრდამ 26.1% შეადგინა.



BAG დასაქმების ბარომეტრი




III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
--------------	-------------	------------	-------------	--------------	-------------	------------	-------------	--------------

მშენებლობა




III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
--------------	-------------	------------	-------------	--------------	-------------	------------	-------------	--------------

ვაჭრობა




III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
--------------	-------------	------------	-------------	--------------	-------------	------------	-------------	--------------

მომსახურება



III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
--------------	-------------	------------	-------------	--------------	-------------	------------	-------------	--------------

მრეწველობა



III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
--------------	-------------	------------	-------------	--------------	-------------	------------	-------------	--------------

• საქართველოში ბიზნესში დასაქმების პერსპექტივა პოზიტიურია. 2023 წლის პირველ 9 თვეში, საშუალოდ, BAG დასაქმების ბარომეტრმა* 39.9 ქულა შეადგინა (+3.0 პუნქტი, ნ/ნ). შესაბამისად, შედარებით მაღალი მოლოდინია დასაქმებასთან დაკავშირებით მომდევნო სამი თვის განმავლობაში.


• 2023 წლის 9 თვეში ბარომეტრში ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (71.4), ყველაზე დაბალი კი მომსახურების სექტორში (31.6).

* კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების „მზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.



შრომის ბაზარი: ხელფასები

ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს



- 2023 წლის III კვარტალში ყოველთვიური ხელფასის მიმღებთა რაოდენობა 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.0%-ით გაიზარდა.
- BAG ინდექსის მიხედვით, კომპანიათა 35%-მა 2023 წლის მესამე კვარტალში გაზარდა თანამშრომლების ხელფასები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სპეციალისტებისა და სამუშაო ძალის ნაკლებობასთან.


- აღსანიშნავია, სებ-ის თანახმად, ბოლო პერიოდში კომპანიებმა ხელფასები გაზარდეს მათი მოგების ზრდის ტემპის შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, დიდი ალბათობით, საქართველოში ხელფასი-ფასის სპირალის განვითარებას ადგილი არ აქვს.

* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს (ბოლოს ნანახია 20.10.2023). მონაცემები აღნიშნავს დარიცხულ ხელფასს.
 ** 0-599 ლარისა და 600-1199 ლარის მიმღებ პირთა წილის კლება 2021 წლისა და 2022 წლის მეოთხე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო დეკემბერში მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.



შრომის ბაზარი: ვაკანსიები

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა




- ვაკანსიების რაოდენობა იზრდება. 2023 წლის 9 თვეში jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები 9.9%-ით გაიზარდა 2022 წლის 9 თვესთან შედარებით.
- თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვაკანსიების რაოდენობის წლიური ზრდა 2023 წლის 9 თვეში საგრძნობლად დაბალია

2022 წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ წლიურ ზრდასთან შედარებით (43.8%). გამოქვეყნებული ვაკანსიების წლიური ზრდის კლება უფრო აშკარაა 2023 წლის მესამე კვარტალში.



შრომის ბაზარი: ბევრიჯის მრუდი



• სეზონურად შენონილი ბევრიჯის მრუდის მიხედვით, II კვ. 2023-ში, I კვ. 2023-თან შედარებით, შრომის ბაზრის ეფექტიანობა გაიზარდა - შემცირდა უმუშევრობისა და ვაკანსიების გამოცხადების დონე, რაც მიანიშნებს პანდემიამდელი ეფექტიანობის დონისკენ მოძრაობაზე.


• პოსტ-პანდემიურ პერიოდში შრომის ბაზრის ეფექტიანობა ჩამორჩება პანდემიამდელს, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, როგორებიცაა: კადრების გადინება მომიჯნავე სექტორებში ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გამო, სამუშაო ძალის მიგრაცია, სამუშაოს მაძიებლების სარეზერვო ხელფასის ზრდა.

* ბევრიჯის მრუდი - დასაქმების თრეჯერი



საგარეო სექტორი: ვაჭრობა

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი და მათი ზრდის ტემპი წ/წ (9 თვე)




- 2023 წლის 9 თვეში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა \$15.3 მილიარდი იყო, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 16.5%-ით მაღალია.
- 2023 წლის 9 თვეში საქართველოს ექსპორტი \$4.6 მილიარდს შეადგენდა, რაც 12.7%-ით მეტია 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამავდროულად, საქართველოში

- 2022 წლის 9 თვესთან შედარებით იმპორტი 18.2%-ით გაიზარდა და \$11.3 მილიარდი შეადგინა.
- 2023 წლის 9 თვეში საქართველოს სავაჭრო დეფიციტი შემცირდა \$1.2 მილიარდით (-22.3%).



საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, ჩინეთთან და ევროკავშირთან (9 თვე)




- 2023 წლის 9 თვეში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს **სავაჭრო ბრუნვა** გაიზარდა ევროკავშირთან (21.1%) და რუსეთთან (+9.9%) და შემცირდა ჩინეთთან (-10.5%).
- 2023 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირთან **ვაჭრობის**


წილი გაიზარდა (+0.6 პპ). ვაჭრობის წილი მცირედით შემცირდა რუსეთთან (-0.7 პპ), ხოლო ჩინეთთან ვაჭრობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტის ხარჯზე (-2.4 პპ), რის შედეგადაც ჩინეთის წილი 2019 წლის დონემდე დაბრუნდა (8%-ზე ნაკლები).



უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი (9 თვე 2022)



უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი (9 თვე 2023)




• 2023 წლის 9 თვეში, 2022 წლის 9 თვესთან შედარებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში მკვეთრად შეიცვალა. კერძოდ, პირველ ადგილზე გადაინაცვლა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა და საერთო ექსპორტის 34.0% შეადგინა (+19.5 პპ, ნ/წ). მნიშვნელოვნად შემცირდა სპილენძის მადნებისა (-8.9 პპ, ნ/წ) და ფეროშენადნობების წილი (-7.6 პპ, ნ/წ), რაც ბაზარზე მათი ფასის კლებითა და მოთხოვნის შემცირებითაა განპირობებული.

• აღსანიშნავია, რომ საქართველო შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დანესებულ სანქციას და 1-ელი აგვისტოდან შეიზღუდა ამერიკიდან მანქანების ექსპორტი რუსეთში/ბელარუსში. ხოლო შემლუდვა ასევე გავრცელდა ევროპიდან შემოყვანილ მანქანებზეც (გააქტიურდა 26 სექტემბერს).




საგარეო სექტორი: იმპორტი

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი (9 თვე 2022)



უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი (9 თვე 2023)




- 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილში მთლიან იმპორტში მცირედით შეიცვალა. კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის წილი თითქმის გაორმაგდა (+8.3 პპ, ნ/წ) და საერთო იმპორტის 20.2% შეადგინა.

- ასევე, ექსპორტის მსგავსად, მნიშვნელოვნად შემცირდა სპილენძის მადნების წილი იმპორტში (-4.0 პპ, ნ/წ), შესაბამისად, 2023 წლის 9 თვეში სპილენძის მადნები უმსხვილეს ხუთ საიმპორტო საქონელში აღარ შედიოდა.



საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა და მათი შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან




• 2023 წლის 9 თვეში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების* რაოდენობამ 2019 წლის პირველ 9 თვეში დაფიქსირებული დონის 81%-ს მიაღწია.

• აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მეოთხე კვარტალში ტურიზმის აღდგენაზე შესაძლოა უარყოფითად აისახოს ისრაელელი ტურისტების რაოდენობის შემცირებამ, რადგან ისრაელი საქართველოსთვის ტურისტების ერთ-ერთი წამყვანი წყაროა.

* აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ჯერ საქართველო არ დაუტოვებიათ, არ შედიან აღნიშნულ სტატისტიკაში.



საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნების მიხედვით



• 2023 წლის 9 თვეში, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა* \$3.3 მილიარდი შეადგინა და 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29.2%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი - 25.9%-ით.

• 2023 წლის პირველ 9 თვეში, რუსეთიდან ჩამოსულ ვიზიტორ-


თა შემოსავლის წილმა 23.6% შეადგინა (+1.2 კპ, ნ/წ), ხოლო ევროკავშირიდან - 13.2% (+2.8 კპ, ნ/წ) და სომხეთიდან ჩამოსულ ვიზიტორთა შემოსავლის წილმა 9.9% (+0.5 კპ, ნ/წ). მნიშვნელოვნად შემცირდა საუდის არაბეთიდან ჩამოსულ ვიზიტორთა* შემოსავლის წილი 2.7%-მდე (-3.2 კპ ნ/წ).

* აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც 1 წელზე მეტი ვადით იმყოფებიან ან აპირებენ საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენას, ითვლებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათ მიერ გაწეული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები უკრაინის 28.0%, რუსეთის 38.4% და ბელორუსიის 34.9% მოქალაქეების დანახარჯები არ შედის აღნიშნულ სტატისტიკაში.



საგარეო სექტორი: მიგრაცია

რუსეთის მოქალაქეების შემოსვლა და გასვლა 2023 წელს (9 თვე)



- 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის არაერთი მოქალაქე შემოვიდა საქართველოში. **რუსების შემოდინებას** მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. შედეგად, მნიშვნელოვანია საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლა-გასვლის დეტალური მონიტორინგი.
- 2023 წლის პირველ 9 თვეში 1.5 მილიონზე მეტი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა **საქართველოს საზღვარზე**, დამატებით 20 ათასი გავიდა, რაც საქართველოდან რუსების გადინების


- საწყის ეტაპზე მიუთითებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ რუსეთის მოქალაქეების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მომდევნო თვეებში ეტაპობრივად შემცირდეს.
- თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს საქართველოში. PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციით, **საქართველოში 2022-2023 წლებში ჩამოსული სულ მცირე 40 ათასი რუსეთის მოქალაქე დარჩა.***

* 2022 წელს საქართველოში რუსეთის 60 ათასი მოქალაქე შემოვიდა (მაკრო მიმოხილვა – გამოცემა 3, გვერდი 20), 2023 წელს კი 20 ათასი გავიდა.



საგარეო სექტორი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით



• 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა შემოდინებამ \$1.1 მილიარდს მიაღწია. ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მრეწველობის სექტორზე (\$262.3 მილიონი)* მოდიოდა, მომდევნო ადგილზე კი ფინანსური სექტორი (\$261.7 მილიონი) გავიდა. 2023 წლის 6 თვეში ნამყვანი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ ნიდერლანდები (\$327.8 მილიონი) და თურქეთი (\$143 მილიონი).

• 2023 წლის II კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა შემოდინებამ \$506 მილიონი შეადგინა. მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარი (\$256 მილიონი) ფინანსურ სექტორზე მოდიოდა, რასაც მოჰყვებოდა ენერჯეტიკის სექტორი (27.1%). 2023 წლის II კვარტალში მთავარი ინვესტორი ქვეყანა იყო დიდი ბრიტანეთი, 33.3%-იანი წილით მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (\$168 მილიონი), ხოლო შემდეგ მოჰყვებოდა თურქეთი 14.0%-ით (\$71 მილიონი).**


* 2023 წლის პირველ კვარტალში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების 45.6% (\$226 მილიონი) მოდიოდა მრეწველობის სექტორზე, რაც დიდწილად განპირობებულია პოლანდიური კომპანია Indorama Holdings B.V.-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციით, რომელმაც შეიძინა რუსთავის აზოტი - უმსხვილესი ქიმიური კომპანია სამხრეთ კავკასიაში.

** დიდმა ბრიტანეთმა ინვესტიციები ძირითადად ფინანსურ სექტორში განახორციელა, თურქეთმა კი - ენერჯეტიკის სექტორში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი რეფინანსირებაზე მოდის.



საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით (9 თვე)




- 2023 წლის პირველ 9 თვეში ფულადი გზავნილების მთლიანმა მოცულობამ \$3.2 მილიარდი შეადგინა. ფულადი გზავნილების შემოდინება 15.5%-ით გაიზარდა 2022 წლის 9 თვესთან შედარებით, მიუხედავად წინა წლის რეკორდულად მაღალი საბაზისო ეფექტისა.
- 2023 წლის 9 თვეში ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა გერმანიიდან (+53.2%), შემდეგ მოჰყვებოდა აშშ (+40.1%) და იტალია (+21.0%).

- მიუხედავად ძლიერი ზრდისა, ფულადი გზავნილების გამომგზავნი ქვეყნები წინა წლებთან შედარებით ნაკლებად დივერსიფიცირებულნი არიან - სხვა ქვეყნების წილი მთლიანი ფულადი გზავნილების 22.0%-მდე შემცირდა (-3.7 პპ, 23/22; -10.7 პპ, 23/21).



ფულადი გზავნილები საქართველოში



• ფულადი გზავნილები ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა ძირითადად რუსეთის გაზრდილი წილის გამო - უკრაინაში რუსეთის შემოჭრის შემდეგ, რუსეთიდან ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გაგრძელდა 2023 წლის მარტამდე. 2023 წლის აპრილიდან რუსეთიდან ფულადი გზავნილები თანდათან დაუბრუნდა **ომამდელ დონეს** და დაიწყო კლების ტენდენცია, შემცირდა სხვაობა

მთლიან ფულად გზავნილებსა და რუსეთის გარეშე ფულად გზავნილებს შორის.

• ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელია **რუსეთიდან** ფულადი გზავნილების **კლების ტენდენცია** უახლოეს მომავალშიც გაგრძელდეს, მაღალი საბაზისო ეფექტისა და რუსების ნაწილის საქართველოდან გასვლის გამო.



გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: შენელება

- **გლობალური ეკონომიკის ზრდა ნელდება, მზარდ დისბალანსთან ერთად.** მსოფლიო ეკონომიკა ნელი ტემპით ახერხებს აღდგენას პანდემიის, რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და საცხოვრებელი ხარჯების კრიზისთან დაკავშირებული ეფექტებიდან. მიუხედავად რიგი გამოწვევებისა (შეფერხებები ენერგეტიკისა და სურსათის ბაზარზე, მჭიდრო მონეტარული პოლიტიკა), ეკონომიკის აღდგენის ტემპი ნელი და არათანაბარია, რაც განაპირობებს შემზღვეულ ეკონომიკურ ზრდას.
- **ზრდის პროგნოზი მცირედით შემცირდა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის „World Economic Outlook“-ის ოქტომბრის გამოცემის მიხედვით, 2023 წლის ზრდის პროგნოზი 3.0%-ია, რაც 2000-2019 წლების საშუალო ზრდის მაჩვენებელზე (3.8%) დაბალია.
- **გლობალური ფაქტორები შენელდა:**
 - მომსახურების სფეროს აღდგენა თითქმის დასრულდა. 2023 წელს, მომსახურების სექტორის აღდგენამ ხელი შეუწყო მომსახურებაზე ორიენტირებულ ეკონომიკებს. თუმცა, ამ სექტორის აღდგენასთან დაკავშირებული სტიმული უკვე დასრულდებულა.
 - გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგები. ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგები ამკარა ხდება, თუმცა გავლენა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.
- **შემდეგი ფაქტორები წარმოადგენენ რისკებს:**
 - ჩინეთში უძრავი ქონების კრიზისი კითხვის ნიშნებს აჩენს გლობალურ ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით. ჩინეთში უძრავი ქონების კრიზისის გაღრმავების რისკი მნიშვნელოვან რისკს უქმნის გლობალურ ეკონომიკას, ძირითადად ფინანსური სტაბილურობის არახით.

- საქონლის ფასების მერყეობის სიხშირის ზრდა გლობალურ ეკონომიკურ რისკს წარმოადგენს. განახლებული გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დარღვევების გამო იზრდება ფასების რყევის რისკი.
- **ფისკალური ბუფერები შემცირდა.** ფისკალური რეზერვები ბევრ ქვეყანაში შემცირდა, მთავრობის ვალის ზრდასთან ერთად. შესაბამისად, მზარდი დაფინანსების ხარჯები ხელ უშლის ეკონომიკურ ზრდას და ზრდის შეუსაბამობას სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომ რესურსებსა და ამ რესურსებზე მოთხოვნას შორის.

გლობალური პერსპექტივა 2024

- **მოსალოდნელია ზრდის კიდევ უფრო შენელება.** „World Economic Outlook“-ის მიხედვით, 2024 წელს გლობალური ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო შენელდება. გამოცემის თანახმად, 2024 წელს გლობალური ეკონომიკა 2.9%-ით გაიზრდება.
- **ინფლაციის მაჩვენებელი თანდათან შემცირდება.** მოსალოდნელია, რომ 2024 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 5.8%-მდე შემცირდება, თუმცა, უმეტეს ქვეყნებში, 2025 წლამდე ვერ გაუთანაბრდება მიზნობრივ მაჩვენებელს.
- **გაურკვევლობა იზრდება.** 2024 წლისთვის გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის, გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და აქტიური პოლიტიკური წლის ფონზე გაურკვევლობა მაღალია.



სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში არაფერი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე სახის რჩევას და შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე და ცნობს შესაბამის რისკებს. PMC კვლევითი ცენტრი არ იქნება პასუხისმგებელი მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

გემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება; ან რომ
- პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევის ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასთან ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესაბამე პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიების, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
უმცროსი მკვლევარი
sh.matcharashvili@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
კვლევითი ასისტენტი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org